



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

*Scientific magazine*

**“AUTHORITY AND SOCIETY**

(History, Theory, Practice)“

**Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**

(История, Теория, Практика)“

№ 3 (27) 2013

ღია ღიკლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი

**Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association**


Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

**EISSN 1512-4029**

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

ბ. 402



## სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქონორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბალათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრამი (გარმელია), ეგვენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცი, ვასტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რინარდ მასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანიანი, ბუდი ნურანი რუჩჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქონორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: [geoandependip@yahoo.com](mailto:geoandependip@yahoo.com)

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია

ჟურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ, 4 ნომერი წელიწადში

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე:

<http://odageorgia.ge/?page=gamocemebi>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო

ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ მ ვ 0

თეორია

ოთარ ქონორაძე  
ორგანიზაციული ქცევა (ნაწილი I)----- 5

დავით შამოგვი  
ელექტრონული მმართველობის განვითარების ზოგადი  
ტენდენციები საქართველოში----- 20

ნიკოლოზ ორლოვი  
სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია უკრაინაში  
ადმინისტრაციული ხელისუფლების რეგიონალური  
ორგანოების ურთიერთქმედების სრულყოფის მეშვეობით  
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში 29  
(რუსულად) -----

გიორგი კალანდაძე  
ეროვნული უშიშროების სისტემა და ინფორმაციული  
საზოგადოება ----- 44

ისტორია

ნათელა ფოფხაძე  
მდინარე ეფფრატის სათავესთან – ქარდუ/ქარდუნია  
სამეფოს ძირძველ მიწაზე----- 50

ეკონომიკა

ნინო კობაიძე, დინა ასლამაზიშვილი  
ორგანიზაციული კულტურის მამოძრავებელი  
ძალები ქართულ მენეჯმენტში (ინგლისურად)----- 62

ეკა ნადარეიშვილი, ნინო კობაიძე  
ჰოლისტიკური მარკეტინგი და მისი მნიშვნელობა  
ქართული სამკერვალო სექტორის განვითარებისათვის  
(ინგლისურად)----- 71

ეკა აბესაძე  
საგარეო ვაჭრობის რეჟიმების ინფორმაციული  
უზრუნველყოფა----- 77

ეკა აბესაძე  
იმპორტ-ექსპორტის რეჟიმების ინფორმაცია მონაცემთა  
ბაზისთვის----- 83

მიხაილო მედვიდი  
სამსახურეობრივ-საბრძოლო ამოცანების შესრულები-  
სათვის შრომითი ბაზრის სეგმენტის ეროვნული და  
საერთაშორისო დონეების ურთიერთზეგავლენის  
ანალიზი (რუსულად) ----- 93  
საზოგადოება

ნინო ჯანჯღავა  
პრაგმატიკულ კატეგორიათა სისტემა და ჰორიზო-  
ნტალური სინთეზი როგორც კილოს კატეგორიის  
ადეკვატური ინტერპრეტაციის საფუძველი: გამჭვირვა-  
ლობა/გაუმჭვირვალობის კატეგორია და მისი  
ფუნქციური არსი----- 106

# თ ე ო რ ი ა

ოთარ ქოჩორაძე  
ორბანიზაციული ქვევა  
(ნაწილი I)

მსოფლიოს ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიკური განვითარების დონით, პოლიტიკური მოწყობის ფორმით, კულტურით, ისტორიული გამოცდილებით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და სხვა მრავალი პარამეტრებით. აქდან გამომდინარე შევეცდებით დავადგინოთ, თუ როგორ აისახება ეს ფაქტები ადამიანთა ქცევაზე და, შესაბამისად, საორგანიზაციო კულტურათა თავისებურებებზე.

დღეისათვის არსებულ საორგანიზაციო კულტურათა ტიპოლოგიაში ყველაზე ცნობილია გ.ჰოფსტედეს, ჩ.ჰენდის, ჯ.მოუტონის, ტ.დილის, ა.კენედის, რ.ბლეიკის, კ.კამერონის, რ.კუინის, გ.ჯონსონის, ფ.ჰარისისა და რ.მორანის, ს.რობინსისა და მ.კუბრას და სხვათა ტიპოლოგიები.

ამერიკელი მკვლევარების კ.კამერონის და რ.კუინის აზრით არსებობს ორგანიზაციული კულტურის შემდეგი ტიპები: კლანური, ადხოკრატიული, იერარქიული და საბაზრო. [1]

კლანური ტიპის კულტურის მქონე ორგანიზაციის ყურადღება ფოკუსირებულია ორგანიზაციის შიგნით გადაწყვეტილების მიღების მოქნილობაზე, ადამიანებზე ზრუნვის ხარისხზე, მომხმარებლებისადმი კეთილგანწყობაზე, ლიდერები – აღმზრდელები არიან. ორგანიზაციას აერთიანდებს ერთგულება და ტრადიციები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ კლიმატს, პერსონალის მონოლითურობას. წარმატება განისაზღვრება მომხმარებლებისადმი კეთილი განწყობით და ადამიანებზე ზრუნვით.

ადხოკრატიული ტიპის კულტურის მქონე ორგანიზაციის ყურადღება ფოკუსირებულია საგარეო პოზიციებზე შერწყმული ადამიანებისადმი მოქნილ და ინდივიდუალურ მიდგომაზე. ადამიანები მზად არიან რისკზე წასასვლელად, ლიდერები – ნოვატორები არიან. ორგანიზაციას აერთიანებს ექსპერიმენტირებისა და ნოვატორობისადმი ერთგულება. წარმატების აღმნიშვნელია ახალი უნიკალური პროდუქტების წარმოება. წახალისებულია პირადი ინიციატივები და თავისუფლება.

იერარქიული ტიპის კულტურა დამახასიათებელია ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ შიდა მხარდაჭერაზე საჭირო სტაბილურობასა და კონტროლთან კომბინაციაში. მსგავს ორგანიზაციებში სამუშაო ადგილი ფორმალიზებული და სტრუქტურირებულია. ლიდერები – რაციონალურად მოაზროვნე კოორდინატორები და ორგანიზატორები არიან. ორგანიზაციას აერთიანებს ფორმალური წესები და ოფიციალური პოლიტიკა. წარმატება განისაზღვრება კალენდარული გრაფიკების შესრულებით და დაბალი დანახარჯებით. პერსონალის მართვა კონცენტრირებულია დასაქმების გარანტიასა და გრძელვადიანი პროგნოზირებადობის უზრუნველყოფაზე.

საბაზრო ტიპის კულტურა ყურადღების აქცენტირებას ახდენს საგარეო პოზიციებზე საჭირო სტაბილურობასა და კონტროლთან კომბინაციაში. ორგანიზაციის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს დასახული ამოცანის შესრულება და მიზნის მიღწევა. ლიდერები – მტკიცე ხელმძღვანელები და ხისტი კონკურენტები არიან. ორგანიზაციას აერთიანებს გამარჯვების სურვილი. დიდი ყურადღება ექცევა ფირმის რეპუტაციასა და წარმატებას. წარმატება განისაზღვრება ბაზრის სეგმენტით, ბაზარზე შეღწევის ხარისხით.

ორგანიზაციული კულტურის დონეები ედგარ შაინის მიხედვით [2]

არტეფაქტები  
ხილული ორგანიზაციული სტრუქტურები და პროცესები

აღიარებული ფასეულობები  
სტრატეგიები, მიზნები, ფილოსოფია


საბაზო წარმოდგენები  
ქვეცნობიერი, რწმენაზე დამყარებული მრწამსი, აღქმა, იდეები  
და გრძნობები  
(ფასეულობებისა და ქმედებების საბოლოო წყარო)

წარმოდგენილი მოდელი საკმაოდ უნივერსალური (ინვარიანტულია ორგანიზაციის დარგობრივი კუთვნილები-სადმი, მისი განვითარების სასიცოცხლო ციკლის ეტაპისადმი, საკუთრების ფორმისადმი მიმართებაში). თეორიული ხასიათის


გამო მმართველობით პრაქტიკაში მისი გამოყენება მოუხერხებელია.

არსებობს, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული “მრავალფენიანი ბოლქვის” მოდელი. აქ ორგანიზაციული კულტურა მთლიანია და ატარებს ყოველისგამყოფ ხასიათს, ამიტომაც მისი ნიშნები შეინიშნება ყველა ორგანიზაციულ პროცესსა და პროექციაში. ეს მოდელი ასდენს იმის დემონსტრირებას, რომ კულტურის დონეები უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები ორგანიზაციაში გრძნობენ დისკომფორტს, ხოლო კულტურა იწვევს ორგანიზაციის ნგრევას, იწვევს ტექნოლოგიურ და ბიზნეს-გარემოსთან ურთიერთქმედების მოშლას.

“მრავალფენიანი ბოლქვის” ორგანიზაციული კულტურის მოდელი



სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროს ცნობილი სპეციალისტის გერი ჯონსონის მიერ შემოთავაზებული იყო ორგანიზაციის “კულტურული ქსელის” მოდელი. იგი ასახავს ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს დაფუძნებულს პარადიგმაზე (საბაზო წარმოდგენების ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება ე.შაინის მიხედვით). ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ “ქსელის” ელემენტები არ არიან მოწესრიგებული იერარქიულად. (მაგალითად, რიტუალები და სიმბოლოები იმყოფებიან იმავე დონეზე, რაზეც ძალაუფლების სტრუქტურები და კონტროლის სისტემები).[3]





ს. რობინსისა და მ. კუბრას შრომებში ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლებში გამოყოფილია შემდეგი პარამეტრები (ორგანიზაციის შიდა კულტურული ფასეულობები):

ორგანიზაციისა და მისი “სახის” დანიშნულება და ამოცანები (უმაღლესი ხარისხი, ლიდერობა დარგში, ნოვატორობის სულისკვეთება);

უფროს-უმცროსობა და ძალაუფლება (თანამდებობისა და პირისათვის დამახასიათებელი უფლებამოსილება, უფროს-უმცროსობისა და ძალაუფლების პატივისცემა);

სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობებისა და ფუნქციების მნიშვნელობა (კადრების განყოფილების უფლებამოსელება, სხვადასხვა ვიცე-პრეზიდენტების პოსტების მნიშვნელობა, სხვადასხვა განყოფილებების პოლი);

ადამიანებისადმი ქცევა (ადამიანებსა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა, ინდივიდუალური უფლებების პატივისცემა, სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, სამართლიანი ანაზღაურება, მოტივაცია);

მართვასა და სხვა თანამდებობებზე ქალების როლი;

ხელმძღვანელ და მაკონტროლებელ თანამდებობებზე შერჩევის კრიტერიუმები;

მუშაობის ორგანიზაცია და დისციპლინა; მუშაკების მიერ

რისკის მიღების ხარისხი; ხელმძღვანელობისა და

მართვის ხარისხი

(ავტორიტარული, კონსულტატიური ან თანამშრომლობის სტილი, კომიტეტებისა და მიზნობრივი ჯგუფების გამოყენება, სოციალური პარტნიორობა);

გადაწყვეტილების მიღების პროცესები (ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ვისთან ტარდება კონსულტაციები);

ინფორმაციის გავრცელება და გაცვლა (როგორ არიან ინფორმირებულნი თანამშრომლები);

კონტაქტების ხასიათი (პირადული ან წერილობითი კონტაქტების უპირატესობა);

სოცალიზაციის ხასიათი (ვინ ვისთან ურთიერთობს მუშაობის დროს და მის შემდეგ, განსაკუთრებული პირობები, ისეთი, როგორიცაა ცალკე სასადილო და სხვა);

კონფლიქტების გადაწყვეტის გზები (კონფლიქტის თავიდან აცილების ან კომპრომისზე წასვლის სურვილი, უმაღლესი ხელმძღვანელობის მონაწილეობა);

შიდა კონტროლის თავისებურებები;

სამუშაოს ეფექტიანობის შემოწმება (ფარული ან ღია, ვინ ახორციელებს, როგორ იყენებენ შედეგებს);

დაჯილდოების სისტემა;

ორგანიზაციისთან გაიგივება (ლოიალობა და მთლიანობა, ერთობის სული, ორგანიზაციაში მუშაობით გამოწვეული გრძნობა).

არსებობს აგრეთვე სხვა მიდგომები სხვადასხვა ატრიბუტების გამოსავლენად, რომლებიც ახაასიათებენ და იდენტიფიცირებას უკეთებენ ორგანიზაციულ კულტურას.

ფჰარისი და რ.მორანი [4] გულისხმობენ, რომ რომ კონკრეტული ორგანიზაციული კულტურა განხილული უნდა იყოს შემდეგი ათი მახასიათებლის საფუძველზე. თითოეულ კატეგორიაში გამოყოფილია ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული კულტურის თავისებურებები.

ეს თავისებურებები შეიძლება გახდეს საფუძველი კულტურის სხვადასხვა ასპექტების გამოკვლევისა, იმისდა მიუხედავად ეს კულტურა ეროვნულია თუ ორგანიზაციული, მუშა კულტურაა თუ გუნდის კულტურა.

იდენტიფიკაცია და მიზანი: იდენტიფიკაცია საშუალებას აძლევს ადამიანს განიცადოს იდენტურობა ჯგუფისადმი და რაღაც გარკვეულ ხარისხამდე განსაზღვროს მათი როლი ცხოვრებაში: “მე”-ს აზრი, საკუთარი თავის და ორგანიზაციაში საკუთარი ადგილის გაცნობიერება (მუშაკის მირ საკუთარი შინაგანი განწყობის ან მათი გარეგნული გამოვლენის დაფარვა, დამოუკიდებლობის ან შემოქმედობითობის გამოვლენა თანამშრომლობის ან ინდუვიდუალიზმის მეოხებით). საზვრები, რომლებიც აღნიშნავენ ან განსაზღვრავენ ჯგუფს, შეიძლება იყოს კონკრეტული ან აბსტრაქტული, ნათელი ან დაფარული. კულტურა, აგრეთვე, ხელს უწყობს მისიებისა და ამოცანების საშუალებით არსის განსაზღვრის მიზნით ადამიანთა ჯგუფებად გაერთიანებას.

კომუნიკაცია და ენა: ჯგუფი გამოირჩევა საკუთარი სისტემებით, როგორც ვერბალური, ასევე არავერბალურით: ზეპირი, წერილობითი, არავერბალური კომუნიკაცია. ურთიერთქმედების პროცესები ვითარდებიან სიტყვათა სპეციალური ერთობის, განსაკუთრებული ტერმინოლოგიისა და კოდების, დიალექტის, სლენგის, ჟარგონის, აბრევიატურის, ექსტიკულაციის გამოყენებით, რომლებიც ვარირებენ დარგის,

ფუნქციონალურობის ან ორგანიზაციის ტერიტორიული კუთვნილების მიხედვით და სხვა.

ტანსაცმელი და გარეგნობა: კულტურა თავის თავს აელენს ტანისამოსის, ნივთების, მხატვრული გაფორმების, სამკაულების და სხათა მეშვეობით. თმის სიგრძემ და ვარცხნილობამ, მაკიაჟმა ან მისი არქონამ, ძვირფასეულობამ, სპეცტანსაცმელმა ან უნიფორმამ შეიძლება დაახასიათოს როგორც ჯგუფი, ტომი ასევე კომპანიის ქვეგანყოფილებები (მეკობრეები, მოსუცები, მოზარდები, ტერორისტები, სამხედროები, მედპერსონალი, რკინიგზელები და სხვა).

საკვები და მისი მიწოდების საშუალებები: მომზადება, მომსახურება, უპირატესობები საკვებში, რას და როგორ მიირთმევენ ადამიანები, ამ სფეროს ტრადიციები და ჩვევები, შიდასაფორმო კვების ორგანიზაცია.

დრო და დროის გაცნობიერება: ადამიანის ბიოლოგიურ და სადღეღამისო რიტმზე ზეგავლენას ახდენს ბუნება და კლიმატი. კულტურული ფაქტორები ზემოქმედებენ იმაზე, რომ რიგი ადამიანებისა იყენებენ დროს უფრო ზუსტ, ხოლო სხვები შედარებით აზრს, იყენებენ მუშაობის სხვადასხვა რიტმს, ინტერვალების ხანგრძლივობას. სპეციალური საპროექტო სამუშაოების შესრულებისას ჩვეულებრივ მიუთითებენ მხოლოდ საბოლოო ვადას. არადა, მუშაობის კულტურის ახალი ტექნოლოგია ხშირად ფუნქციონირებს სადღეღამისო რეჟიმში, სადაც ყოველი ოპერაცია გაწერილია წუთებში.

ადამიანების სხვაობა და ურთიერთობები: კულტურა ადგენს ადამიანურ და ორგანიზაციულ დამოკიდებულებას ასაკისადმი, სქესისადმი, სტატუსისა და ნათესაობის ხარისხისადმი, სიმდიდრისადმი, ძალაუფლებისა და სიბრძნისადმი, პროტოკოლისადმი, რელიგიისა და მოქალაქეობისადმი, გვარისადმი, ჯილდოებისა და აღიარებისადმი.

ფასეულობები და ნორმები: კულტურა ზემოქმედებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს და როგორ ახდენენ მათ რანჟირებას პრიორიტეტების მიხედვით. გადარჩენის მოთხოვნილებების დონეზე ფასდებიან ისეთი საბაზო მოთხოვნილებები, როგორცაა საცხოვრებელი, საკვები, ტანსაცმელი; თვითდამკვიდრებისა და თვითაქტუალიზაციის დონეზე – აღიარების, მნიშვნელოვნების, ცხოვრების ხარისხის და თვითსრულყოფის მოთხოვნილება. საზოგადოებაში კულტურის ფასეულობები და ქცევის ნორმები

გამოხატულია ღიად ან ფარულად. ქცევის ეს მისაღები სტანდარტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამუშაო ეთიკის ფორმით, ეტიკეტის პრინციპებში, ქცევის კოდექსებში, ნორმატივებსა და კანონებში. ნორმებისა და ფასეულობების ათვისების პროცესი იწყება ოჯახში და გრძელდება ორგანიზაციულ ცხოვრებაში, სადაც მოსამსახურის ქცევის სტანდარტები გაცხადებულია ფორმალურად ან არაფორმალურად.

მრწამსი და ურთიერთობები: კულტურა საშუალებას იძლევა ვუხელომდვანელოთ ადამიანებს, აყალიბებს მათ შეხედულებებს ცხოვრების ისეთ ფუნდამენტალურ საკითხებზე, როგორცაა: ადამიანური არსობის თავისებურებები; ადამიანის ცხოვრების აზრი; ადამიანების დამოკიდებულება ბუნებისადმი; ცხოვრების დროებითი ფოკუსირება (წარსულზე, აწმყოზე ან მომავალზე); ადამიანური მოღვაწეობის მოდალურობა (უშუალო გამოხატვა, თვითგანვითარება, შეფასებადი მიღწევა); ერთი ადამიანის მეორესადმი დამოკიდებულება.

ორგანიზაციულ კულტურებში დომინანტური საქმიანი ფილოსოფია აისახება დოკუმენტებში, პროცედურებსა და პუბლიკაციებში. ორგანიზაციული მრწამსი და ურთიერთობები განსაზღვრავენ აღიარებისა და დაჯილდოების სისტემებს ცერემონიებისა და რიტუალების მეშვეობით, ასევე ჩართულნი არიან მითებში, ტრადიციებში, ლეგენდებში. ორგანიზაციებში მრწამსი შეიძლება გამოვლინდეს ახალგაზრდებისადმი, ვეტერანებისადმი, ქალებისადმი, ხელმძღვანელობისადმი მიმართებაში.

მენტალური ჩვევები და სწავლება: ინფორმაციის გააზრების, შესწავლის, ორგანიზაციისა და დამუშავების საშუალებები ყველა ადამიანისათვის უნაკალურია და ხშირ შემთხვევაში – განსხვავებული. ასევე განსხვავებულია განათლებისა და სწავლების ფორმები.

მუშაობის თავისებურებები და მეთოდები: კულტურები განსხვავდება მუშაობისადმი დამოკიდებულებით და აღქმის საშუალებებით: მოსაწონი სამუშაოს ტიპები, მუშაობის მეთოდები და მიმართულება, მუშა პარტნიორები და პროცედურები, შრომითი ეთიკა და მოტივირება, პასუხისმგებლობა, თანამდებობების გაყოფა და შეთავსება; შეფასება, კონტროლი და დაჯილდოება.

ამერიკელმა მკვლევარებმა ტ.პიტერსმა და რ.უოტერმანმა გამოავლინეს ორგანიზაციული კულტურის რიგი

მასხასიათებლები, რომლებიც ორგანიზაციის წარმატებას უწყობენ ხელს: გადაწყვეტილებები მიიღება თვით ინფორმაციის უკმარისობის პირობებშიც კი; ორგანიზაციული კულტურის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს მომხმარებლის დაკმაყოფილება; დამოუკიდებლობისა და ინიციატივის წახალისება; ადამიანი აღიქმება, როგორც ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება და აქტივი; ორგანიზაციის ხელმძღვანელები მუდმივად ეწვევიან მათი მართვის ქვეშ მყოფ ობიექტებს და პირდაპირ ურთიერთობენ ხელქვეითებთან სამუშაო ადგილზე; მკაცრი ორიენტაცია ძირითად საქმიანობაზე, დივერსიფიკაცია არ წახალისდება; მარტივი ორგანიზაციული სტრუქტურა, მართვის მცირერიცხოვანი პერსონალი; ორგანიზაციაში მოქნილობისა (ხელმძღვანელობის მხრიდან მინიმალური კონტროლისა და ჩარევის ხარჯზე) და სიხისტის (საერთო ღირებულებების ხარკზე) კომბინაცია. [5]

ვ.სათმა შექმნა ორგანიზაციული კულტურის ზეგავლენის მოდელი, სადაც კულტურის ზეგავლენა ორგანიზაციაზე განიხილება შემდეგი პროცესების მეშვეობით: გადაწყვეტილების მიღება; კონტროლი; კომუნიკაცია; ორგანიზაციისადმი ზიარება; ორგანიზაციული გარემოს აღქმა; საკუთარი ქცევის გამართლება. ამასთან, ის გამოყოფს ორგანიზაციული კულტურის ორ დონეს: ზედაპირულს (ორგანიზაციული ქცევის ნიმუშები: გადაწყვეტილების მიღება, კონტროლი, კომუნიკაცია) და სიღრმისეულს (ღირებულებები: დანარჩენი სამი). ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებული არის იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობენ ეს პროცესები. [6]

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ყოველისმომცველი არის ნიდერლანდელი სოციოლოგის გერტ ჰოფსტედეს ტიპოლოგია. [7]

ორგანიზაციული კულტურის გერტ ჰოფსტედეს ტიპოლოგია შემუშავებული იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში IBM ტრანსნაციონალური კორპორაციის ქვედანაყოფების მასშტაბური კვლევის (40 ქვეყნა, 116 ათასი მოსამსახურე) შედეგებზე დაყრდნობით. ჰოფსტედესეული ტიპოლოგიის ცნობადობა და პოპულარობა, უპერველეს ყოვლისა, განპირობებულია წარმატებულად მოძებნილი უნივერსალური პარამეტრების კომპლექტით, რომელთა გამოყენება შეიძლება

ორგანიზაციათა კულტურის ანალიზისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში არიან ეს ორგანიზაციები.

გერტ ჰოფსტედე შეფასებას აწარმოებდა 5 პარამეტრის მიხედვით:

1. ძალაუფლებისაგან დისტანცირება - ძალაუფლების აღქმა, ხარისხი, რომლითაც შედარებით ნაკლები ძალაუფლებით აღჭურვილი საზოგადოების, ინსტიტუტის ან ორგანიზაციის წევრები მოელის და უშვებენ ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას; ძალაუფლებისაგან დიდად დისტანცირებული კულტურებისათვის (არაბული ქვეყნები, ლათინური ამერიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, რუსეთი) დამახასიათებელი არის ძალაუფლების, როგორც ცხოვრების ნიშნელოვანი ნაწილის აღქმა, უფროსობის წინაშე ქედის მოხრა; ძალაუფლებისაგან ნაკლებად დისტანცირებული კულტურებისათვის (ავსტრია, დანია, აშშ, გერმანია) დამახასიათებელია ურთიერთობების აგება თანასწორობისა და პიროვნებისადმი პატივისცემის საფუძველზე.

2. განცალკევებულობა (ინდივიდუალიზმი) - როგორც ერთიანობის (კოლექტივიზმის) საპირისპირო - პირადი მიზნებისაკენ ლტოლვა, საკუთარი თავის, როგორც „მე“-ს აღქმა, კერძო ინტერესებისა და იმ ცალკეულ პიროვნებებს შორის კავშირების დაცვა, რომლებიც არ არიან დატვირთული ერთობლივი მოქმედების ძლიერი ვალდებულებებით (აშშ); კოლექტიური კულტურისთვის დამახასიათებელია ჯგუფური ინტერესები, საკუთარი თავის, როგორც „ჩვენ“-ის აღქმა, ურთიერთობებისა და ნორმების მხარდაჭერა (ლათინური ამერიკა).

3. უნიანობა - სწრაფვა მიზნის მიღწევისკენ ნებისმიერი საშუალების გამოყენებით; ამ მაჩვენებლისათვის დიდი მნიშვნელობის მიმნიჭებელი ქვეყნები მიეკუთვნებიან „მამაკაცურ ტიპს“ (იაპონია, იტალია, ავსტრია, მექსიკა, ფილიპინები), მათთვის დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორიცაა პაექრობა, თავდაჯერებულობა, მიზანმიმართულობა, მატერიალური ფასეულობებისადმი მიდრეკილება; დაბალი მნიშვნელობის მქონე ქვეყნები (დანია, ნორვეგია, შვედეთი) - განეკუთვნებიან „ქალურ ტიპს“, მათთვის დამახასიათებელია ურთიერთობებისა და კულტურული ფასეულობების პატივისცემა, ზრუნვა ცხოვრების ხარისხზე.

4. გაურკვეველობისათვის თავის არიდება (გაურკვეველობის მიუღებლობა) - უცნობი სიტუაციების აღქმისა და მათზე

რეაგირების ხარისხი; ამ მანქანების დიდი მნიშვნელობის მიმნიჭებელი ქვეყნებისათვის ტიპურია გაურკვეველი და ბუნდოვანი სიტუაციების დაუშვებლობა, მკაფიო ქცევითი წესების დამყარებისადმი სწრაფვა, ტრადიციებისა და წესებისადმი ნდობა, შიდაგუნდური თანხმობისაკენ გადახრა, განსხვავებული ცხოვრებისეული პოზიციისა და აზროვნების წესის მქონე ადამიანებისადმი შეუწყნარებლობა; დაბალი მანქანების მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პირადი ინიციატივის გამოჩენა, რისკის დაშვება უთანხმოებისა და განსხვავებული აზრის მშვიდად მიღება.

5. სტრატეგიული აზროვნება (მომავალზე ხანმოკლე და გრძელვადიანი ორიენტაცია) - სტრატეგიული, გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტაზე ორიენტაცია, მომავლის ხედვის სურვილი; ამ პარამეტრის დიდი მნიშვნელობის ქვეყნებისთვის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) დამახასიათებელია ანგარიშიანობა, შეუპოვრობა მიზნის მისაღწევად, სიმტკიცე; დაბალი მნიშვნელობის მქონე კულტურებისთვის (ევროპა) - ტრადიციებისადმი ერთგულება, სოციალური ვალდებულებების შესრულება.

გერტ ჰოფსტედესათვის „კულტურა განისაზღვრება, როგორც ადამიანური გონების კოლექტიური ფსიქოლოგიური პროგრამირება, რითაც ადამიანთა ერთი ჯგუფი განსხვავდება მეორისაგან“ (Culture is defined as the collective mental programming of the human mind which distinguishes one group of people from another). ეს პროგრამირება გავლენას ახდენს აზროვნების სტერეოტიპებზე, რომლებიც კრისტალიზებული არიან საზოგადოებრივ ინსტიტუტებში.

ეროვნული კულტურების, როგორც ორგანიზაციული ქცევის საბაზო ფაქტორის, შესწავლისათვის ჰოფსტედემ შემოგვთავაზა იმ უნივერსალური პარამეტრების გამოყენება, რომლებიც წარმოადგენენ ქცევის შემდეგი მახასიათებლების კონტინუუმებს:

ინდივიდუალიზმი - კოლექტივიზმი;

ძალაუფლების დისტანცია (გადაწყვეტილების, რომელიც ეხება ყველას, მიღებაში მონაწილეობის ხარისხი) (დიდი - მცირე);

გაურკვეველობის დაშვება (ძლიერი - სუსტი);

მამაკაცურობა - ქალურობა (მასკულინობა - ფემინურობა);

მომავალზე ორიენტაციის დროული ჰორიზონტი (მოკლე - გრძელი)

პარამეტრი „ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი“ ახასიათებს იმ ხარისხს, რომლითაც მოცემული ქვეყნის მოქალაქეები ან ორგანიზაციის თამანშრომლები ამჯობინებენ იქმოქმედონ დამოუკიდებლად, და არა როგორც ამა თუ იმ ჯგუფის წევრებში.

ამ შკალის მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: საკუთარი პირადი ინტერესების აბსოლუტიზაცია და სრული დაქვემდებარება ჯგუფის ან საზოგადოების ინტერესებისადმი. ამგვარად, მოცემული პარამეტრის მნიშვნელობის განსაზღვრით, შესაძლებელია განისაზღვროს სოციალურ-ფსიქოლოგიური კავშირის სიმჭიდროვე საზოგადოების წევრებს ან ორგანიზაციის წევრებს შორის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინდიკატორები, რომლებიც ამის განხორციელების შესაძლებლობას იძლევიან.

ცხრილი 1.

კოლექტივიზმის მაღალი ღირებულების მქონე ქვეყნები	ინდივიდუალიზმის მაღალი ღირებულების მქონე ქვეყნები
კომპანიის მხრიდან მუშაკის მომზადების პრიორიტეტი (ტრენინგი, ფიზიკური მდგომარეობა და სხვა)	მუშაკის პირადი ცხოვრების პრიორიტეტი (თავისუფალი დროის დანახარჯების მიხედვით)
ემოციური დამოკიდებულება კომპანიაზე	კომპანიისაგან ემოციური დამოუკიდებულება
მსხვილ კომპანიებში მუშაობისადმი სწრაფვა	პატარა კომპანიებში მუშაობისადმი სწრაფვა
დომინირებს მორალური ვალდებულებები კომპანიასთან ურთიერთობაში	დომინირებს საღი გათვლა კომპანიასთან ურთიერთობაში
სტუდენტებს სოციალურად ნაკლებად მისაღებად მიაჩნიათ საკუთარი მიზნების განხორციელება სხვებზე ზრუნვის გარეშე	სტუდენტებს სოციალურად გამართლებულად მიაჩნიათ საკუთარი მიზნების განხორციელება სხვებზე ზრუნვის გარეშე
მენეჯერები ისწრაფვიან მორჩილებისა და წესრიგისაკენ	მენეჯერები ისწრაფვიან ლიდერობისა და მრავალფეროვნებისაკენ



მენეჯერები აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, თავდაჯერებულობისა და სტაბილურობის პირველ ადგილზე დაყენებით	მენეჯერები აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, საკუთარი დამოუკიდებლობის პირველ ადგილზე დაყენებით
მენეჯერები ტრადიციულ შეხედულებებს ემხრობიან, არ მოსწონთ მუშაკთა ინიციატივა ან ჯგუფური აქტივობა	მენეჯერები მხარს უჭერენ მუშაკთა ინიციატივის ან ჯგუფური აქტივობის სტიმულირების თანამედროვე შეხედულებებს
ჯგუფური გადაწყვეტილებები უფრო მიმზიდველია, ვიდრე ინდივიდუალური	ინდივიდუალური გადაწყვეტილებები უფრო მიმზიდველია, ვიდრე ჯგუფური
სტუდენტები ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ ვალდებულების გრძნობით	სტუდენტები ორიენტირებული არიან ხალისიანი ცხოვრებისაკენ
მენეჯერები ცხოვრების მთვარ მიზნად ასახელებენ ვალდებულებას, გამოცდილებას და პრესტიჟს	მენეჯერები ცხოვრების მთვარ მიზნად ასახელებენ სიამოვნებას, ლტოლვას და უსაფრთხოებას
ინდივიდუალური ინიციატივა იკიცხება საზოგადოების მიერ: ფატალიზმი	საზოგადოება მოესალმება ინდივიდუალურ ინიციატივას
ადამიანები მსჯელობენ ტერმინებით ჩვენიანი-უცხო: პარტიკულარიზმი	ადამიანები მსჯელობენ საერთო ტერმინებით: უნივერსალიზმი
სოციალური ურთიერთობები განისაზღვრება საკუთარი ან სხვა ჯგუფისადმი კუთვნილებით	ადამიანები განიცდიან პიროვნული, მეგობრული ურთიერთობების მოთხოვნილებას
შეგირდობის უფრო ხანგრძლივი პერიოდი (დრო თანამდებობრივ დაწინაურებამდე)	შეგირდობის უფრო ნაკლები პერიოდი (დრო თანამდებობრივ დაწინაურებამდე)
დროსტარების ტრადიციული საშუალებების დომინირება	დროსტარების თანამედროვე საშუალებების დომინირება

კვლევის პროცესში ჰოფსტედე იკვლევდა დამოკიდებულებას ქვეყნის კეთილდღეობის დონესა (მანქანებელი – საერთო ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე) და მის ადგილზე ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმის შკალაზე. მიღებული მონაცემების თანახმად მდიდარი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალიზმის მაღალი ინდექსი (აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები), ხოლო კეთილდღეობის დაბალი მანქანებლების მქონე ქვეყნებში (კოლუმბია, პაკისტანი, რუსეთი და სხვა) ჰქონდათ კოლექტივიზმის მაღალი მანქანებლები.

გერტ ჰოფსტედეს გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს შევხედოთ კულტურას, როგორც ეკონომიკური ცხოვრების ელემენტს. მართლაც და ძნელია, თუ შეუძლებელი არა, შევცვალოთ ეკონომიკური გარემო ადამიანთა ღირებულებითი პრიორიტეტების შეცვლის და განვითარების გარეშე, ვინაიდან სწორედ ისინი განსაზღვრავენ ადამიანთა მენტალურ დაპროგრამებას.

ლიტერატურა

**References:**

1. Камерон К., Куинн Р.. Диагностика и изменение организационной культуры / Пер. с англ. под ред. И.В.Андреевой. – СПб: Питер, 2001 – 320 с.
2. Шейн Э.Х. Организационная культура и лидерство. Пер. с англ. под ред. В. А. Спивака. — СПб: Питер, 2002. -336 с
3. [http://www.mindtools.com/pages/article/newSTR\\_90.htm](http://www.mindtools.com/pages/article/newSTR_90.htm)
4. Harris P.R., Moran R.T. Managing cultural differences. – Houston: Gulf Publishing Co., 1991.
5. Peters T.J., Waterman R.H. In search of excellence. - N.Y.: Harper and Row, 1982.
6. Sathe V. Culture and related corporate realities. Homewood, IL: Richard D. Irwin, 1985.
7. <http://geert-hofstede.com/countries.html> –
8. [http://www.elitarium.ru/2013/01/18/kultura\\_organizacionnoe\\_povedenie\\_metodika\\_hofsteda.html](http://www.elitarium.ru/2013/01/18/kultura_organizacionnoe_povedenie_metodika_hofsteda.html)
9. <http://westwood.wikispaces.com/file/view/Hofstede.pdf>
10. Тихомирова О.Г. ОРГАНИЗАЦИОННАЯ КУЛЬТУРА: ФОРМИРОВАНИЕ, РАЗВИТИЕ И ОЦЕНКА. Санкт-Петербург. 2008
11. Лютенс Ф. Организационное поведение. М.: ИНФРА-М, 1999. 690с.

**Otar Kochoradze**  
**Organisational Behavior (Part 1)**

**Summary**

Describes the main parameters of organizational behavior.

**Keywords:** parameters, method, organizational behavior.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Отар Кочорадзе**  
**Организационное поведение (1-я часть)**

**Резюме**

Рассмотрены основные параметры организационного поведения.

**Ключевые слова:** параметры, метод, организационное поведение.

**Рецензент:** Профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет.

დავით შამოყვი  
ელექტრონული მმართველობის ბანკოთარმის ზოგადი  
ტენდენციები საქართველოში

შესავალი

თუ კარიერის გაკეთებას საჯარო სამსახურში ვიქრობთ, კარგად დაფიქრდით საკუთარი მოტივაციის შესახებ, რადგან არსებობს სწორი და არასწორი მიზეზები. მიზეზი სწორია, თუ სოციალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა, მთავრობის მიერ ძალაუფლების გამოყენებისას დემოკრატიული ღირებულებების და ეთიკური სტანდარტების დაცვა გსურთ და საზოგადოების კეთილდღეობის სამსახური თქვენი მისწრაფებაა. თქვენი მოტივაცია არასწორია, თუ ხალხისაგან აღტაცებასა და თქვენი მიღწევების აღიარებას მოელოთ, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მოლოდინი გაქვთ, რომ სამყარო საკუთარი გეგმის მიხედვით შეცვალოთ. არასწორი მიზეზების გამო მწარედ იმედგაცრუებული დარჩებით. თუმცა, მათთვის, ვისი მოწოდებაც საზოგადოებრივ კეთილდღეობაში წვლილის შეტანაა, სახელმწიფო სამსახური შეიძლება ერთადერთი ყველაზე დამაკმაყოფილებელი გზა იყოს საკუთარი მისწრაფებების იმ იდეებად და მოვლენებად გადაქცევაში, რომელიც მრავალი ადამიანის ცხოვრების ხარისხს აამაღლებს. ასეთ შესაძლებლობას ძალიან ცოტა პროფესია იძლევა და სწორედ ამიტომ საჯარო სამსახური ყოველთვის მომხიბლავი, გამომწვევი და დამაკმაყოფილებელი წამოწვევა იქნება.

გამოწვევები, რომლებიც მოსალოდნელია საჯარო სამსახურში მომდევნო წლების განმავლობაში, არსებითია, რადგან ისინი მოითხოვს არა უბრალოდ მნიშვნელოვანი საჯარო პოლიტიკის პრობლემების გადაჭრას, არამედ ისეთი გზით გადაჭრას, რომ საზოგადოების ნდობა აღდგეს და შენარჩუნდეს. ჩვენს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საზოგადოებებს ესაჭიროებათ საჯარო სამსახურის არსისა და კეთილსინდისიერების აღდგენის ძალისხმევა, მაგრამ ამ პროცესს თან უნდა ახლდეს გაცნობიერება ჩვენს სფეროში არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციისა, რომლებიც საჯარო სამსახურის ღირებულებებს და ვალდებულებებს გარდაქმნის.

### ელექტრონული მმართველობის ცნება

იუნესკოს განსაზღვრებით ([www.unesco.org](http://www.unesco.org)) - ელექტრონული მმართველობა გულისხმობს საჯარო სექტორის მხრიდან ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებისათვის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად, ასევე, როგორც ხელისუფლების უფრო ანგარიშვალდებულის, გამჭვირვალე და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ელექტრონული მმართველობა ხელს უწყობს ინფორმაციის მიწოდებისა და სერვისების ახალი ფორმების დანერგვას, მას შეუძლია დაამკვიდროს უფლებებისა და ვალდებულებების მხრივ მოქალაქეობის ცნების ახალი მოდელი. მისი მიზანია ჩართოს მოქალაქე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აღჭურვოს იგი რეალური ძალაუფლებით, გაზარდოს მისი, როგორც საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილის შესაძლებლობები.

ელექტრონული მმართველობა მსოფლიო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ის 21-ე საუკუნის ინფორმაციული საზოგადოების შემადგენელი ნაწილია.

დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მმართველობის რამდენიმე დეფინიცია: ციფრული მმართველობა, ონლაინ მმართველობა, ინტერნეტ მმართველობა და სხვა. რა ტერმინითაც არ უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფო მმართველობის ეს ახალი და ნოვატორული საშუალება, ფაქტია, რომ გლობალური მასშტაბით ის აქტიურად იმკვიდრებს ადგილს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმი.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის პრაქტიკული დანერგვა და განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ელ-მმართველობა მოქალაქეებისათვის;
- ელ-მმართველობა ბიზნესისათვის;
- ელ-მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისათვის;
- ელ-მმართველობა საჯარო მოხელეებისათვის.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ჩამოთვლილი მიმართულებები საკმაოდ ბევრ ქვე-ელემენტს მოიცავს: საჯარო ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნება,

საზოგადოებრივი გამოკითხვები, აქტიური ორმხრივი ინტერაქტივი სახელმწიფო სტრუქტურებსა და მომხმარებლებს შორის, სხვადასხვა ონლაინ სერვისების არსებობა, ხმის მიცემის ელექტრონული ფორმატი და სხვა.

შესაძლებელია გამოგვეთოთ ელექტრონული მმართველობის რამდენიმე გლობალური ტენდენცია:

- იზრდება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და მისი გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლები;

- ელექტრონული ფოსტა მკვიდრდება კომუნიკაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად;

- იქმნება სამთავრობო პორტალები, რომლებიც არსობრივად განსხვავდება ჩვეულებრივი სამთავრობო ვებ-გვერდებისგან, იქმნება ინტერნეტ-საზოგადოებრივი ჯგუფები;

- ონლაინ სერვისები ქმნიან ახალ კიბერ სივრცეს;

- ყოველდღიურად მკვიდრდება ახალი ელექტრონული ინოვაციები და უმჯობესდება მომხმარებელთა მოთხოვნებზე რეაგირების ხარისხი;

- ინტერნეტი იქცევა იდეებისა და მოსაზრებების გაცვლის უნივერსალურ სივრცედ, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე (ონლაინ დებატები, პროტესტები, პეტიციები, გამოკითხვები, განხილვები და ა.შ.);

- ინტერნეტ-გამჭირვალობა ხელს უწყობს საერთო დემოკრატიული ხარისხის გაუმჯობესებას;

- ელექტრონულ მმართველობაში დაბანდებული თანხები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას და მმართველობის ეფექტურობის გაუმჯობესებას;

- ჩნდება ინტერნეტ-საზოგადოების ლიდერები (ბლოგერები, სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებლები და ა.შ.), რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და პოლიტიკურ პროცესებზე;

- სახელმწიფო უწყებები ცდილობენ საჯარო პოლიტიკის ფორმირებისას მეტი ინტერაქტივის გამოყენებას და გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების კორექტირებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების საჯარო და არაკომერციულ მენეჯმენტში ფართოდ გავრცელების გამო, ბევრი ელექტრონული მმართველობის ეპოქის შესახებ საუბრობს. ელექტრონული მმართველობა შეიძლება განიპარტოს, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების

გამოყენება ინფორმაციის მოპოვებაში, მომსახურების მიწოდებაში, ორგანიზაციული მენეჯმენტის სისტემების მხარდაჭერაში და დიალოგისა და მოქალაქის წვლილის შესაძლებლობების შეთავაზებაში.

ქსელების დღევანდელ ეპოქაში მოქალაქეები საკუთარ თავს ეხმარებიან. თვითმომსახურების ჯიხურები, საინფორმაციო ან ინტერაქტიული ვებ-გვერდები და უფასო სატელეფონო ხაზები საჯარო ორგანიზაციებს ეხმარება საზოგადოების მომსახურების გზები გააუმჯობესოს. და, უმეტესწილად, ადამიანებს ეს მოსწონთ. ექსპერტების აზრით, ელექტრონული მთავრობა უნიკალურია იმით, რომ ორივე მხარე სარგებელს იღებს. მომხარებელი იღებს ხელისუფლების გაზრდილი ხელმისაწვდომობითა და უფრო სწრაფი რეაგირების დროით, ხოლო მთავრობებს შეუძლიათ შეკვეცონ ხარჯები და გაზარდონ საიმედოობა.

### გამოწვევები

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია ინფორმაციულ საზოგადოებაში მაღალი სასიცოცხლო სტანდარტების გავრცელება. სახელმწიფო ორგანოებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედებების პროცესებში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა ყოველ მოქალაქეს საშუალებას აძლევს დაზოგოს დრო სტანდარტულ ოპერაციებზე: სხვადასხვა ცნობების მიღება, კომუნალური გასახადების გადახდა, სახელმწიფო გრანტებისა და სუბსიდიების მიღება, სახელმწიფო მოხელეებთან ვიდეოკონფერენციები და სხვა.

მთლიანობაში კომუნიკაციის ახალი ხერხები საშუალებას იძლევა: მიღწეული იქნას ხელისუფლების სრული გამჭვირვალობა და მისი გადაწყვეტილებების საჯაროობა; ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისათვის ყველა სახელმწიფო ნორმატიული აქტი; მოხდეს მაღალხარჯიანი სტრუქტურების რეფორმირება; ამაღლდეს ყოველდღიური ცხოვრების კონფორტი; გაიზარდოს თავისუფალი დროის რაოდენობა.

ელექტრონული მმართველობა ინფორმაციის უკეთ გაცვლის, ეფექტურობისა და მოქალაქეების უკეთ მომსახურების ბევრ შესაძლებლობას გვთავაზობს. იგი აგრეთვე არსებით გამოწვევებს წამოჭრის. სიახლემ შეიძლება გაართულოს არჩევანი უამრავ ვარიანტს შორის, რომელთაგან

ზოგი მოითხოვს დრმა ცვლილებებს ორგანიზაციულ პროცესებში, ურთიერთობებში და კულტურაში. საუკეთესო ვებ-გვერდები შექმნილია მოქალაქეების მოთხოვნილებების და არა ორგანიზაციების სტრუქტურის ირგვლივ. მოქალაქეებს არ უნდა დაჭირდეთ და არც უნდა – გაიგონ ორგანიზაციული სტრუქტურები, თუ როგორ ემსახურება მათ მთავრობა, საბოლოოდ, ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ მისასვლელი ხელისუფლებამდე, ისე, რომ მოქალაქემ მიიღოს რაც უნდა და არ დაჭირდეს სისტემის შესწავლა.

ზოგადად, საჯარო პროდუქტიულობა დაკავშირებულია იმასთან, როგორ შეიძლება მიადწიოს ორგანიზაციამ თავის მიზნებს მაქსიმალურად ეფექტიანად – როგორ შეუძლია მას შესრულების გაუმჯობესება. ზოგიერთი აქცენტს აკეთებს ტექნოლოგიურ ინოვაციაზე, სხვები კი ადამიანური რესურსების მენეჯმენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური სიახლეები ხშირად შთამბეჭდავ შედეგებს იძლევა, ტექნოლოგიური სიახლეები არ ხდება ორგანიზაციის თანამშრომლების უნარ-ჩვევებისა და განწყობისაგან დამოუკიდებლად. სიახლეები იფურჩქნება გარემოში, სადაც ადამიანის შემოქმედებით პოტენციალს უწყობენ ხელს და ჩვეულებრივ, მოითხოვს ცვლილებებს ადამიანებში.

არსებობს სხვა გამოწვევებიც. საინფორმაციო ტექნოლოგიები მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს. საბიუჯეტო შეზღუდვები ართულებს ბევრი იურისდიქციისთვის ქსელზე დაფუძნებული ვებ-გვერდების შექმნის პროცესს. პრობლემური შეიძლება იყოს ფართო ხელმისაწვდომობაც, რადგან ბევრს არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე. ინტერნეტის გამოყენება შეზღუდულია აგრეთვე მათთვის, ვინც არ ლაპარაკობს ინგლისურად ან ინვალიდებისათვის, თუმცა სამთავრობო ორგანიზაციები ამ მიმართულებით მუშაობენ და გარკვეული პროგრესიც შეინიშნება. საბოლოოდ, უნდა განვიხილოთ უშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემებიც. სისტემები დაცული უნდა იყოს ვირუსებისა და ჰაკერებისაგან, ხოლო მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ტრანზაქციები – არასათანადო მიზნით გამოყენებისაგან.



## ელექტრონული მმართველობისათვის მზადყოფნა (საქართველოს მაგალითზე)

ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით საქართველოში დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა. პრაქტიკაში ინერგება თანამედროვე IT ტექნოლოგიები და იგეგმება მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტები. 2007 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია და ჩართულია იგი საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროცესში.

რაც შეეხება საქართველოში ელექტრონული სერვისების განვითარებას, 2010 წლიდან ამ კუთხით ნამდვილად პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება, საქართველოში ამ სფეროს განვითარების ღოდერებად აღმასრულებელი ხელისუფლების ორი დაწესებულება გვევლინება - ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები.

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.mof.gov.ge](http://www.mof.gov.ge)) თავმოყრილია საკმაოდ ბევრი ელექტრონული სერვისი: ავტომობილის განბაჟების ღირებულების გამოთვლა, დეკლარაციის ონლაინ შევსებისა და გაგზავნის საშუალება, საჯარო სამსახურის დეკლარაციის შევსება, ონლაინ აუქციონი და სხვა. მეტი ინტერაქტივისთვის საიტზე ინტეგრირებულია აუდიო/ვიდეო განმარტებები. ამავე დროს აღსანიშნავია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ცალკე ვებ-პორტალის ამოქმედება ([www.rs.ge](http://www.rs.ge)), რაც გადასახადის გადამხდელს საქმიანობას მნიშვნელოვნად გაუადვილებს.

ელექტრონული მომსახურებები დაინერგა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიც. ახალი ინიციატივის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი გახდა პროგრამა სკაიპის გამოყენებით ონლაინ რეჟიმში ნებისმიერი სახის თანხმობის, განცხადების, მინდობილობისა და რწმუნებულების ნოტარიალური დამოწმება. ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე ([www.notary.ge](http://www.notary.ge)) შესაძლებელია იურიდიული კონსულტაციის მიღებაც. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობებთან ინტეგრირებულმა მონაცემთა ელექტრონულმა ბაზამ გაზარდა სხვადასხვა საჯარო ინფორმაციაზე მოსახლეობის ელექტრონული ხელმისაწვდომობის ხარისხი. ფუნქციონირებს აღსრულების

ეროვნული ბიუროს ([www.nbe.gov.ge](http://www.nbe.gov.ge)) მოვალეთა და სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული რეესტრები და სხვა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მიმართული ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საჯარო მმართველობის სფეროში ხორციელდება. საჯარო სამსახურის ბიურომ ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომი გახადა საჯარო მოხელეების მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები ([www.csb.gov.ge](http://www.csb.gov.ge)). იგივე ბიურო ადმინისტრირებას უწევს სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდს ([www.jobs.gov.ge](http://www.jobs.gov.ge)), რომელიც ხელს უწყობს საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა ინფორმირებულობის დონის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის ეფექტური დამკვიდრებისათვის დაგეგმვისა და კოორდინაციის ვალდებულება მთავრობიდან უნდა მოდიოდეს. ეროვნული მასშტაბით ელექტრონული მთავრობების შექმნა, ანუ ყველა დონის (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი) და დარგის მმართველობის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მასობრივი გადაყვანა საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების პრინციპზე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უმნიშვნელოვანესი და კომპლექსური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს სულ ცოტა, სამი საკვანძო მიმართულებით, ესენია: ინფორმაციზაციის სახელმწიფო პოლიტიკა; მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა; რაციონალური საჯარო სამსახურის შექმნის სახელმწიფო პოლიტიკა.

სწორედ ცენტრალურმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური (ქვეყნის კომპიუტერებით აღჭურვა და ინტერნეტის გლობალურ ქსელში გაერთიანება, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა), ინსტიტუციური (საჯარო სამსახურების, კომპეტენციების და ურთიერთქმედების ლოგიკური სისტემა) და საინფორმაციო გარემოს (საზოგადოების ჩართულობა) შესაბამისი პირობების შექმნა. მთავრობამ დაგეგმილი პროგრამებითა და გამიზნული ინვესტირებით უნდა უზრუნველყოს რეგიონების ტექნიკურ/IT ჩამორჩენის აღმოფხვრა. შეიმუშაოს საზოგადოებრივი ელ-ჩართულობის პოლიტიკა, დაამკვიდროს ელექტრონული

გამჭირვებულების სტანდარტები, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

ლიტერატურა

**References:**

1. doRonaZe S., oTar baRaTuria o., saxelmwifo marTvis Tanamedrove problemebi. Tbilisi, 2009 w.
2. moqalaqeta Tanamonawileoba TviTmmarTvelobaSi (referati), samoqalaqo sazogadoebis instituti, Tbilisi, 2009 w;
3. adgilobrivi TviTmmarTvelobis servisebis miwodebis standartebi (samagido kvleva da rekomendaciebi), fondi Ria sazogadoeba-saqarTvelo. Tbilisi, 2010 weli.
4. robert b.denharti, jenet v.denharti. sajaro marTva (moqmedebis kursi). Tbilisi, 2012w.
5. <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20I%20geo.pdf>

**David Shamoev**

**General Trends of Development of E-Governance in Georgia**

**Summary**

Development of Electronic Governance can be regarded as one of the most important instruments of the world society development. This is an integral part of the information society of the 21<sup>st</sup> century. Due to spreading of information technologies widely in public and nonprofit management, many people talk about of the e-government era. E-Governance can be interpreted as the use of information technology in obtaining of information, provision of services, supporting of organizational management systems, and offering of opportunities for dialogue and citizen participation.

E-Governance enables government to achieve full transparency and publicity of its decisions; makes all State Regulatory Acts available to the population; allows to reform cost demanding structures; improves comfort of everyday life; increase duration of free time. Its aim is to involve citizens in decision-making process, equip them with a real power, and increase their opportunities as participants in social processes.

**Keywords:** e-government, e-governance, electronic transparency, information technologies, the Internet.

**Reviewer:** Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University.

**Давид Шамоев**

**Общие тенденции развития электронного управления в Грузии**

**Резюме**

Электронное управление является одним из значительных инструментов мирового общественного развития. В XXI веке оно стало частью информационного общества. Широкое распространение информационных технологий в публичной и некоммерческой сфере дает возможность говорить об Эпохе Электронного Управления.

Электронное управление дает возможность достичь полной прозрачности власти и публичности ее решений; доступности всех государственно-нормативных актов; реформирования дорогостоящих государственных структур; повышения повседневного комфорта; увеличения лимита свободного времени. Ее целью является включение граждан в процесс принятия решений, вооружить их реальной властью, повысить возможности их участия в общественных процессах.

**Ключевые слова:** электронное правительство, электронное управление, информационные технологии, Интернет.

**Рецензент:** Профессор Отар Кочорадзе, Грузинский технический университет.

УДК 353.9

Николай Орлов

**РЕАЛИЗАЦИЯ ГОСУДАРСТВЕННОЙ ПОЛИТИКИ В  
УКРАИНЕ ЧЕРЕЗ СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ СИСТЕМЫ  
ВЗАИМОДЕЙСТВИЯ РЕГИОНАЛЬНЫХ ОРГАНОВ  
ИСПОЛНИТЕЛЬНОЙ ВЛАСТИ В СФЕРЕ ОХРАНЫ  
ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА**

**Постановка проблемы в общем виде и ее связь с важными научными и практическими задачами.** Государственная политика Украины строится как относительно стабильная, организованная и целеустремленная деятельность органов государственной власти по отношению к определенному комплексу вопросов, которые осуществляются ими непосредственно или опосредовано и как результат – влияет на жизнь общества [1]. Государственная политика реализуется через государственное управление.

Управление как деятельность существовало на протяжении всей истории развития человечества. Можно сказать, что управление существовало определенной мерой с того времени, как у людей возникла потребность в общей работе.

Следует отметить, что проблема эффективного управления на государственном уровне остается актуальной и в двадцать первом веке, а отсюда возникает логический вопрос относительно роли и места взаимодействия любых субъектов в системе государственного управления. Это связано в первую очередь с проблемой формирования рациональной системы взаимодействия региональных органов исполнительной власти в сфере охраны правопорядка.

Анализ последних исследований и публикаций, в которых заложены основы решения данной проблемы, показывает на необходимость отдельного рассмотрения вопроса реализации государственной политики в Украине через совершенствование механизма системы взаимодействия региональных органов исполнительной власти в сфере охраны общественного порядка.

Проблемами государственного управления занимались такие украинские ученые как А. Мельник, О. Оболонский, А. Васина, Л. Гордиенко [2] и др., а также иностранные ученые Бурное Б, Райт Г [3; 4] и др., которые в указанных работах не касались одного из важных вопросов – взаимодействия региональных органов исполнительной власти в сфере охраны правопорядка в контексте системы государственного управления.

На сегодня для Украины, проблема взаимодействия региональных органов исполнительной власти в сфере охраны правопорядка приобретает особую актуальность, которая связана с состоянием социально-политической и (или) социально-экономической обстановки в государстве и внешними вызовами на которые реагирует система государственного управления.

Определив взаимодействие региональных органов исполнительной власти в сфере охраны правопорядка в контексте системы государственного управления, можно приступить к формированию рациональной системы взаимодействия как совокупности соответствующих органов исполнительной власти, каналов обмена информации взаимодействия и сил охраны правопорядка, которые действуют в едином правовом поле в условиях агрессивной внешней среды.

**Целью статьи** есть обоснование сути взаимодействия региональных органов исполнительной власти в сфере охраны правопорядка в контексте системы государственного управления и утверждением того, что взаимодействие указанных субъектов есть составной частью системы государственного управления и является одним из механизмов реализации государственной политики.

**Изложение основного материала.** Как указано в работе [5] *управление* – это вид общественной деятельности, которая предусматривает систему скоординированных действий субъекта на объект с целью достижения определенных организационных целей. Система скоординированных действий по своей сути – это взаимодействие. В данном случае субъектов и объектов в обществе государства. Субъектами управления являются руководители высших, средних и низших звеньев, элитные группы и организации, а объектами управления – отдельные лица, группы, организации, институты, процессы.

